საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ახოსპირელი

ახოსპირელი (ნამდვ. გვარი აღაიანი) ბეგლარ (1880, თელავი, - 1921, თბილისი), პოეტი.

იყო თეატრის მუშა, სუფლიორი. გამოსცა პატარ-პატარა წიგნები – „ლექსები“ (1898), „ჩემი ნანინა“, „ჩემი სიმღერა“ (ორივე 1912), „ცხოვრების სიმღერები“ (1915), „არზრუმის აღება“ (1916), მასვე ეკუთვნის პოემები „სოლომონ გმირი“ (1899), „შვილის მკვლელი“ (1900), „შანტაჟისტები და გეურქაღა“ (1907), ვოდევილი „ოცდაათი თუმანი“ (1904), დრამ. პოემები – „მშვენება და სიყვარული“ (1911).

თარგმნა მ. გორკის „ფსკერზე“ სათაურით „ნაძირალნი“ (1907), ფ. შილერის „ნამდვილი მეგობრები“. ა-ის ლექსი „კ.ლს“ (ე. ი. ლ. კეცხოველს, რ-თანაც ახლო ურთიერთობა უნდა ჰქონოდა), იმ დროს საცენზურო კომიტეტში უმცროს ცენზორად მომუშავე პართენ გოთუას ხელშეწყობით გამოქვეყნდა გაზ. „ივერიაში“ (1904, 10. X). ამის გამო ლექსის ავტორიცა და რეცენზენტიც მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ მოექცნენ. ა-ს აეკრძალა ბეჭდვა, აკრძალეს აგრეთვე მისი ლექსები: „ბუნება ხარობს“, „ტყეში“, „სიმღერა – ცას ჩამოსწყდა ჩემი ბედის ვარსკვლავი“, „სიმღერა – ჰყვავის ჩემი ზაფხული“.